

პოლიტიკის დოკუმენტი



**საქართველოსა და იაპონიას შორის
დიპლომატიური ურთიერთობების
30 წელი: პარტნიორობის მიღწევები
და პერსპექტივები**



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

მარიამ ბიბილაშვილი

პოლიტიკის დოკუმენტი

გამოცემა #30 | სექტემბერი 2022



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი და მისი დონორები არ განსაზღვრავენ და შეიძლება არ ემხრობოდნენ და მხარს არ უჭერდნენ წინამდებარე ნაშრომში გაკეთებულ დასკვნებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

მარიამ ბიბილაშვილი, “საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი: პარტნიორობის მიღწევები და პერსპექტივები,” პოლიტიკის დოკუმენტი No. 30, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, სექტემბერი 2022.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2022

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე ჰუმბინის ქუჩა 13

ტელ.: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

www.gip.ge



Cover photo credit: Bm.ge. Accessed April 29, 2022.

<https://bm.ge/ka/article/2016-2020-ramdeni-mln-is-investicia-chades-iaponelma-investorebma-saqartveloshi/67712>

ავტორის შესახებ

დოქტორი მარიამ ბიბილაშვილი ცუკუბას უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დოქტორია. ამჟამად, იგი აფილირებულია იაპონური და ევრაზიული კვლევების სპეციალურ პროგრამასთან. მისი ექსპერტიზის ძირითადი მიმართულებაა საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა. მარიამს აქვს ბაკალავრის ხარისხი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან და მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო კვლევებში ცუკუბას უნივერსიტეტიდან.

სარჩევი

მოკლე შინაარსი	4
შესავალი	5
საქართველო იაპონიის დიპლომატიურ დღის წესრიგში	6
ჰაშიმოტოს „ევრაზიული დიპლომატია“	7
ასოს „თავისუფლების და კეთილდღეობის რკალი“	8
კონოს „კავკასიის ინიციატივა“	9
ეკონომიკური თანამშრომლობა და ოფიციალური განვითარების მხარდაჭერა (ODA) ..	11
ინვესტიციები და ვაჭრობა.....	11
განვითარების ოფიციალური მხარდაჭერა (ODA) & იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)	13
იაპონურ-ქართული ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები	17
თანამშრომლობის მრავალმხრივი არხები.....	18
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC)	19
სუამი	20
დასკვნა და რეკომენდაციები.....	22
რეკომენდაციები.....	23
წყაროები	25

მოკლე შინაარსი

იაპონურ-ქართული პარტნიორობა, საქართველოში არსებული სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის, ეთნიკური კონფლიქტების და ორმხრივი ნდობის ნაკლებობის გამო, შეზღუდული თანამშრომლობით დაიწყო. 1997 წელს, პრემიერ-მინისტრ რიუტარო ჰაშიმოტოს "ევრაზიული დიპლომატიის" შემოღების შემდეგ, იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებმა საქართველოში ვიზიტების გამართვა დაიწყეს, რასაც დემოკრატიული და ენერგეტიკული რეაბილიტაციის პროექტები მოჰყვა. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების, ტარო ასოს "თავისუფლების და კეთილდღეობის რკალისა" და ტარო კონოს "კავკასიური ინიციატივის" შთაგონებით, 2006 წლის შემდგომი პერიოდი ხასიათდება უფრო მეტი მაღალი დონის ვიზიტით, მნიშვნელოვანი პროექტებისა და ორმხრივი შეთანხმებების წამოწყებით და ისეთი საერთო ღირებულებების პოლიტიკური მხარდაჭერით, როგორცაა თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა.

იაპონია სანდო საგარეო პარტნიორად ჩამოყალიბდა საქართველოსთვის განვითარებისთვის გაცემული დაფინანსების თვალსაზრისით. თუმცა, საქართველო იაპონიის მიერ აღქმულია, უფრო როგორც სამხრეთ კავკასიის ნაწილი, ვიდრე როგორც საერთაშორისო სისტემის დამოუკიდებელი მოთამაშე, რაც მიუთითებს, რომ ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავებისთვის ჯერ კიდევ დიდი სივრცე არსებობს. ეს დოკუმენტი მიიჩნევს, რომ ამ გზაზე საქართველოს უმთავრესი გამოწვევაა თავისი შესაძლებლობების გაძლიერება იაპონური ბიზნესებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. ამავე დროს, ევროპულ ლიბერალურ დემოკრატიად პოზიციონირებით, საქართველომ უნდა მოიპოვოს დამაჯერებლობა იაპონია-ევროკავშირის შეკავშირების პროცესში.

საქართველოს მიმართ იაპონური დიპლომატიური დამოკიდებულების განვითარების დინამიკის წარმოდგენის შემდეგ, ეს დოკუმენტი შეისწავლის ორმხრივი და მრავალმხრივი არხების მეშვეობით ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას და დასკვნის სახით გვთავაზობს მიგნებებსა და პოლიტიკურ რეკომენდაციებს. თანასწორი პარტნიორობის განვითარების პოტენციალი დიდწილად დამოკიდებულია საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის აქტიურ ძალისხმევაზე, ისევე როგორც ქვეყანაში არსებულ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

საკვანძო სიტყვები: იაპონია, საქართველო, ოფიციალური განვითარების დახმარება (ODA), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA), საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

შესავალი


ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1992 წლის 3 აგვისტოს იაპონიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჩამოყალიბდა (Embassy of Japan in Georgia 2022). მიუხედავად იმისა, რომ სამი ათწლეულის განმავლობაში იაპონია უცხოური განვითარების დახმარების სანდო წყაროდ იქცა (იხ. გრაფა 3.3), საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი აკადემიურ და საექსპერტო წრეებში ხშირად შეუმჩნევლად ტოვებს არა-დასავლელი პარტნიორების მნიშვნელობას.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილმა რეალობამ გამოწვევის წინაშე დააყენა საერთაშორისო აქტორები, რომლებსაც ახალ გარემოსთან ადაპტირება სურდათ — მათ შორის იყო იაპონიაც, თავისი მოუქნელი ბიუროკრატიული აპარატით. მართალია, იაპონია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ცალკეული რეგიონული მიდგომების შემუშავებას გარკვეული დრო დასჭირდა (Bibilashvili 2021).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იაპონიის ჩართულობის გასაზრდელად დიდი სივრცე არსებობს, ორმხრივი ურთიერთობები მნიშვნელოვნად ჯერაც არ გაღრმავებულა. შესაძლოა, საქართველო იაპონური საქონლისთვის შედარებით მცირე ბაზარს წარმოადგენს, მაგრამ მას შეუძლია იაპონიის დაინტერესება ხელსაყრელი ბიზნესკლიმატითა და სტრატეგიული ადგილმდებარეობით აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაკავშირებელ კვანძში. გარდა ამისა, საქართველოსა და იაპონიასაც აქვთ მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტების გამოწვევა. საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტი რუსული ოკუპაციის ქვეშაა, იაპონიას კი რუსეთი ჩრდილოეთის ტერიტორიების ფლობას ედავება (MOFA 2011). ეს ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლახანს რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის კრილში. აგრეთვე, საქართველო იზიარებს იაპონიის საგარეოპოლიტიკურ პრეფერენციას აშშ-სა და ევროკავშირთან ძლიერი კავშირების შენარჩუნების თაობაზე. იაპონიის 2016 წლის „თავისუფალი და ღია ინდო-წყნარი ოკეანის ინიციატივის“ გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის ერთ-ერთ მოქმედ საგარეოპოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს ფართო გეოგრაფიულ ასპარეზზე წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის უზრუნველყოფა, რაც ორმხრივი პარტნიორობისათვის დამატებითი სტიმულია.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი შეისწავლის იაპონია-საქართველოს ურთიერთობების განვითარებას და განკუთვნილია პოლიტიკოსთათვის, ისევე როგორც აკადემიური და ბიზნეს აუდიტორიისათვის. ამ დრომდე, იაპონია საქართველოს რეგიონული ქოლგის ქვეშ აღიქვამს, რაც შესაძლოა წინაღობად განვიხილოთ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტების გათვალისწინებით. შესაბამისად, ეს დოკუმენტი მიიჩნევს, რომ

საქართველოს სჭირდება თავისი პოტენციალის წარმოჩენა იაპონია-ევროკავშირის შემაკავშირებელ კვანძად, რისთვისაც მან უნდა მოიპოვოს დამაჯერებლობა და აწარმოოს პრო-დასავლური პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება კანონის უზენაესობას და საბაზრო ეკონომიკას. აგრეთვე საქართველომ უნდა აწარმოოს აქტიური დიპლომატია იაპონიის ბიზნეს და პოლიტიკურ წრეებში საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ თვალსაზრისით, იაპონიის “თავისუფალი და ღია ინდო-წყნარი ოკეანის” ინიციატივა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით შექმნილ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობასთან ერთად უნდა იქნას გამოყენებული იაპონია-საქართველოს პარტნიორობის გასაღრმავებლად.



ფოტო: <https://agenda.ge/en/article/2018/56>

საქართველო იაპონიის დიპლომატიურ დღის წესრიგში

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წელს ჩამოყალიბდა, იაპონიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის თანამშრომლობის პირველი ისტორიული ცნობა მე-20 საუკუნის დასაწყისში მოიპოვება - 1904-1945 წლების პერიოდი ანტი-რუსული და ანტი-საბჭოთა თანამშრომლობის ხანა იყო

(Kuromiya & Mamoulia 2009), რამაც საფუძველი ჩაუყარა ამჟამინდელ ორმხრივ ურთიერთობებს. საქართველოს საელჩო ტოკიოში 2007 წლის თებერვალში, ხოლო იაპონიის საელჩო საქართველოში 2009 წლის 1 იანვარს გაიხსნა (MOFA 2022). 2001 წლამდე, საქართველო მიმაგრებული იყო იაპონიის საელჩოზე რუსეთში, შემდგომ კი იაპონიის საელჩოზე აზერბაიჯანში, რაც მიუთითებს, რომ თავდაპირველად იაპონია საქართველოს უყურებდა, როგორც რუსეთის გავლენის სფეროში მყოფ ქვეყანას, შემდგომში კი პრიორიტეტს ანიჭებდა აზერბაიჯანს, როგორც რეგიონულ ლიდერს.

ამ დრომდე, იაპონიას საქართველოში რვა დიპლომატი ჰყავს გამოგზავნილი, საქართველოს კი - ხუთი ელჩი იაპონიაში (MOFA 2022). 1997 წლის შემდეგ, საქართველოს უმასპინძლია 14 მაღალი დონის ვიზიტისათვის იაპონიიდან, ხოლო იაპონიას 24-ჯერ ჰყავს მიღებული ქართველი მაღალი დონის ოფიციალური პირები (MOFA 2022), რაც აჩვენებს, რომ საქართველოს არ გაუკეთებია საკმარისი ქვეყნისადმი იაპონიის ინტერესის აღსამრავად. დინამიკა ცხადყოფს, რომ წინსვლის მიუხედავად, ეს ორმხრივი პარტნიორობა ჯერ კიდევ არ არის პრიორიტეტული საკითხი არც იაპონიის და არც საქართველოს დიპლომატიურ დღის წესრიგში.

აღსანიშნავია, რომ 1992 წლის შემდეგ იაპონიის დიპლომატიური მიდგომა სამხრეთ კავკასიისადმი ეტაპობრივად დავიწროვდა. შედეგად, „ყოფილი საბჭოთა ქვეყნების“ ჩარჩო გადაიქცა „რუსეთის ფედერაციისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ ჩარჩოდ და, საბოლოოდ, “რუსეთის ფედერაცია, ცენტრალურ აზია და კავკასიად“ (Bibilashvili 2021). თუმცა, იაპონია საქართველოს რეგიონულ კონტექსტში უყურებს და სამხრეთ კავკასიას აღიქვამს, როგორც ჰომოგენურ მოთამაშეს საერთაშორისო სისტემაში, რაც შესაძლოა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ზომის შედეგი იყოს, ან თუნდაც იმით აიხსნებოდეს, რომ იაპონიას ჯერ კიდევ არ გაუცნია მათი განსაკუთრებული მახასიათებლები.

იაპონურ-ქართული ურთიერთობების დინამიკა აჩვენებს, რომ საქართველო ნელ-ნელა იძენს მეტ სანდოობას იაპონელ პოლიტიკოსების შემოქმედთა შორის და ცდილობს, თავი წარმოაჩინოს ქვეყნად, რომელიც ლიბერალური ღირებულებების ერთგულია და რომელსაც შესწევს იაპონური ინვესტიციების მოზიდვის ძალა. თუმცა, ტოკიო უნდა დარწმუნდეს, რომ თბილისს შეუძლია იყოს მეტი, ვიდრე მხოლოდ იაპონიის საგარეო დახმარების ბენეფიციარი.

ჰაშიმოტოს „ევრაზიული დიპლომატია“

იაპონიის “აზრეშუმის გზის დიპლომატია” 1997 წელს იწყება, როდესაც იაპონიის მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა, რიუტარო ჰაშიმოტომ „ევრაზიული დიპლომატია“ შემოიღო, რაც

ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მიმართ იაპონიის ინტერესის პირველ გამოხატულებას განასახიერებდა. ჰაშიმოტოს მიდგომის თანახმად, რომელიც „კორპორაციული აღმასრულებლების იაპონურ ასოციაციას“ (Prime Minister of Japan and His Cabinet 1997) მიემართებოდა, აბრეშუმის გზის რეგიონად იწოდებოდა ცენტრალური აზიის ქვეყნები სამხრეთ კავკასიასთან ერთად. შესაბამისად, ამ დროს, იაპონიამ ხაზი გაუსვა, რომ ეს სახელმწიფოები ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისკენ მიისწრაფოდნენ და რომ მათ გააჩნდათ აზიისა და ევროპის შეკავშირების პოტენციალი.

ჰაშიმოტომ საგარეო პოლიტიკის სამი მთავარი მიმართულება გამოყო: პოლიტიკური დიალოგი, ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსების განვითარება და თანამშრომლობა მშვიდობისთვის. პოლიტიკური დიალოგი მიზნად ისახავდა ნდობისა და ურთიერთგაგების ამაღლებას კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის, ისეთი ზომების მეშვეობით, როგორცაა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, დემოკრატიზაცია და სტაბილიზაცია. თუმცა, ის გარემოება, რომ ჰაშიმოტოს განცხადება „კორპორაციულ აღმასრულებელთა იაპონურ ასოციაციასთან“ საუბრისას გაკეთდა, მოწმობს, რომ სტრატეგიის ყურადღების ცენტრში ეკონომიკური თანამშრომლობა იყო.

ჰაშიმოტოს ინიციატივამ დადებითი გავლენა იქონია ურთიერთობებზე იაპონიასა და აბრეშუმის გზის რეგიონს შორის, მათ შორის სამხრეთ კავკასიასთან. თუმცა, ის მეტწილად დაიყვანებოდა ეკონომიკის დარგში ორმხრივ ურთიერთობებამდე და არ ახლდა პოლიტიკური ასპექტი. ამ ეტაპისთვის, იაპონია იკავებდა დონორის პოზიციას საქართველოსთან მიმართებით და მხარს უჭერდა მის საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნას, რაც შეიძლება აიხსნას იაპონიისთვის საქართველოს, როგორც პოლიტიკური პარტნიორის, არასანდოობით, გამომდინარე სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობიდან და ეთნიკური კონფლიქტებიდან.

ასოს „თავისუფლების და კეთილდღეობის რკალი“

სამხრეთ კავკასიისადმი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების მეორე მცდელობა 2006 წელს განხორციელდა, როდესაც მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ (2005-2007) „თავისუფლებისა და კეთილდღეობის რკალი“ შემოიღო. ამ პერიოდის უმთავრესი მიმართულებები იყო: იაპონია-აშშ-ის ალიანსი, საერთაშორისო თანამშრომლობა, ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან (ჩინეთი, რუსეთი, კორეის რესპუბლიკა) და ეკონომიკური თანამშრომლობა ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები (MOFA 2006). ამ სტრატეგიის ყურადღების ცენტრში მოექცა ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან ცენტრალურ აზიასა და კავკასიამდე, თურქეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, ისევე როგორც ბალტიისპირეთის სახელმწიფოები (Ibid.)

ჰაშიმოტოს „ევრაზიული დიპლომატიისგან“ განსხვავებით, რომელიც საქართველოს ცალკეულად არ ახსენებდა, „თავისუფლებისა და კეთილდღეობის რკალის“ შემოღების შემდეგ, საქართველო გახდა იაპონური დიპლომატიის ერთ-ერთი სამიზნე და აღქმული იქნა, როგორც „ძალზედ მნიშვნელოვანი, მსოფლიოსთვის ბუნებრივი რესურსების მიწოდების კუთხით“ (MOFA 2006). გარდა ამისა, „თავისუფლების და კეთილდღეობის რკალის“ შემოღებიდან მალევე, საქართველო შეუერთდა აზიის განვითარების ბანკს - იაპონიის ხელმძღვანელობით არსებული ორგანიზაცია, რომელიც გასცემს დახმარებას აზიის განვითარების ფონდიდან და სიღარიბის დამარცხების იაპონიის ფონდიდან (ADB 2022). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2006 წლის შემდეგ საქართველოთი იაპონიის დაინტერესება გაძლიერდა, რაც მიუთითებდა იაპონურ-ქართული თანამშრომლობის წინსვლაზე.

კონოს „კავკასიის ინიციატივა“


ყველაზე ბოლო განვითარება იაპონიის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში „კავკასიის ინიციატივის“ გამოცხადება იყო 2018 წელს, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი, ტარო კონო ვიზიტით იმყოფებოდა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში (MOFA 2019). აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ეწვია.

ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს კავკასიაში სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის მხარდაჭერას ადამიანური რესურსების განვითარების შესაძლებლობების შექმნითა და ბიზნეს-მეგობრული ინფრასტრუქტურის წახალისებით, რათა რეგიონი უფრო მიმზიდველი გახდეს უცხოელ ინვესტორთათვის (MOFA 2019). მიუხედავად იმისა, რომ ამ ინიციატივის ეფექტიანობის შეფასება ჯერ ნაადრევია, ბოლო დროს განხორციელებული მაღალი დონის ვიზიტები და მიღწეული მნიშვნელოვანი შეთანხმებები (MoESDoG 2021)¹ ურთიერთობების გაღრმავებაზე მიუთითებს, რაც შეიძლება უფრო განვითარებული ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორობის საფუძველი გახდეს. ეს სრულ თანხვედრაშია იაპონიის მიერ 2016 წელს შემოღებულ „თავისუფალ და ღია ინდო-წყნარი ოკეანეთის ინიციატივასთან“, რომლის მიზანია წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი, მშვიდობა და სტაბილურობა, ისევე როგორც აზიასა და აფრიკას შორის შეკავშირებულობის ამაღლება.

იაპონიის გაზრდილი ინტერესი და საქართველოსთან თანამშრომლობის სურვილი მიუთითებს პოზიტიურ დინამიკაზე იაპონურ-ქართული ურთიერთობების განვითარებაში. თუმცა, ის, რომ იაპონიას სამი ათწლეული დასჭირდა რეგიონზე ორიენტირებული, კონკრეტული ხედვის შესაქმნელად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ, მოწმობს, რომ

¹ მაგალითად, საქართველოს მოქალაქეებისთვის 2018 წელს სავიზო მოთხოვნების შემსუბუქება (GT 2018), რასაც მოჰყვა 2021 წელს მიღწეული იაპონიისა და საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო და საგადასახადო შეთანხმებები (MOFA 2021).

საქართველოს, როგორც საერთაშორისო სისტემის ცალკეულ ერთეულს, სჭირდება მაღალი დონის ვიზიტების შემდგომი გააქტიურება, იაპონიის ჩართულობით პროექტების წამოწყება და სწრაფვა იაპონური დიპლომატიის სამიზნედ გადაქცევისაკენ. ამისათვის, საქართველომ აქცენტი უნდა გააკეთოს თავის პოტენციურ როლზე იაპონიის ევროკავშირთან შეკავშირების კუთხით.²



ფოტო: <https://agenda.ge/en/news/2022/1585>

² 2018 წლის “სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების” თანახმად, 2019 წლის სექტემბერში იაპონიამ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს “პარტნიორობას მდგრადი შეკავშირებულობისა და ხარისხიანი ინფრასტრუქტურის შესახებ” (EEAS 2019).

ეკონომიკური თანამშრომლობა და ოფიციალური განვითარების მხარდაჭერა (ODA)


ინვესტიციები და ვაჭრობა

ეკონომიკური კავშირები იაპონიასა და საქართველოს შორის ვითარდება, რასაც მოწმობს "შეთანხმება საქართველოსა და იაპონიას შორის ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ", თანმდევი „შეთანხმებით შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“. შეთანხმებებს ხელი 2021 წლის 29 იანვარს მოეწერა. ისინი ქმნიან მეგობრულ გარემოს ინვესტიციებისთვის და ახალისებენ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ორმხრივად სასარგებლო საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნით.

საქართველოში იაპონური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინება მნიშვნელოვანი რყევებით ხასიათდებოდა გვიანდელი 90-იანებიდან (იხ. გრაფა 3.1), რაც შესაძლებელია აიხსნას საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ტურბულენტობით. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს თანახმად (2021), ქვეყანაში წარმოდგენილია ოცდაექვსი იაპონური კომპანია, რომელთა შორისაა ერთ-ერთი უდიდესი ენერგეტიკული კომპანია—TEPCO Renewable Power (TEPCO RP), რაც, 2020 წლის მონაცემებით, იაპონური ინვესტიციების ღირებულებას 15.4 მილიონ აშშ დოლარად აქცევს. TEPCO RP-ს გადაწყვეტილება საქართველოში შემოსვლის შესახებ მიუთითებს საქართველოსა და იაპონიის უფრო მაღალი დონის თანამშრომლობის პოტენციალზე ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დეკარბონიზაციის მიმართულებით.³ თუმცა, ამ თვალსაზრისით, საქართველოს გამოწვევა სტაბილური სოციო-პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფა, იაპონური კომპანიების საკუთარ სანდოობაში დარწმუნება, ორმხრივი პროექტების წამოწყება და საქართველოს იაპონელ ინვესტორთათვის გაცნობაა.

³ კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ძალისხმევებთან შეერთების მიზნით, იაპონიამ განავითარა საგზაო რუკა, “Beyond-Zero”, რაც მიზნად ისახავს, ქვეყანა 2050 წლამდე ნახშირჟანგ ნეიტრალური გახდეს (METI n.d.).

გრაფა 3.1 იაპონური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI)



* ინფორმაცია არ მოიპოვება 1996 & 1999-2002 წლებისთვის.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების თანახმად. [ოლო წვდომა: 4 მაისი, 2022

http://pcaxis.geostat.ge/PXweb/pxweb/en/Database/Database__FDI/2..px/table/tableViewLayout2/?rxid=a3ee7e7f-a8d3-44a6-bb86-7ebbb10e7b4

რაც შეეხება ვაჭრობის სექტორს, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანახმად (MOFA 2022), ამ დრომდე, იაპონიიდან შემოსული იმპორტის რაოდენობა უტოლდება 18.9 მილიარდ იენს და უმეტესად შედგება ელექტროტექნიკის, ავტომანქანების, საბურავების და ავტორეზინებისგან, ხოლო იაპონიაში საქართველოს სრული ექსპორტი, რომელიც ღვინის, მეტალის, ალუმინის, ქიმიური ელემენტების და ტანსაცმლისგან შედგება, 2.7 მილიარდი იენის ღირებულებისაა.

ზემოთ მოცემული ციფრები აჩვენებს, რომ საქართველოს არ ამოუწურავს თავისი პოტენციალი იაპონური ბიზნეს წრეების მოზიდვის თვალსაზრისით. შესაბამისად, ინვესტიციები და ვაჭრობა ის ორი მიმართულებაა, სადაც განვითარების ყველაზე დიდი პოტენციალია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მთავრობა ცდილობს შექმნას უფრო ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის განსავითარებლად, ის რომ საქართველოს ჯერ არ დაურწმუნებია იაპონელი ინვესტორები თავის სანდოობაში, როგორც ეკონომიკური პარტნიორისა, შესაძლოა, ერთ-ერთი წინააღმდეგობა იყოს ამ გზაზე. ამ თვალსაზრისით, იაპონიიდან საქართველოში, და პირიქით, მგზავრობის

გამარტივება პირდაპირი სატრანსპორტო საშუალებების შემოყვანით პროცესის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

განვითარების ოფიციალური მხარდაჭერა (ODA) & იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფინანსური მხარდაჭერა იაპონიის საქართველოში ჩართულობის ძირითად ასპექტად იქცა. გარდა იძულებით გადაადგილებული პირების ჰუმანიტარული დახმარებისა, იაპონიას ასევე შეჰქონდა წვლილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების აღდგენაში (ოპერა, მუზეუმები, სკოლები და სხვა მუნიციპალური საკუთრება). 2019 წლამდე, იაპონიას საქართველოსთვის გამოყოფილი აქვს: 66 მილიარდი იენის ოდენობით სესხი, 12 მილიარდი იენის ოდენობით გრანტი, 2 მილიარდი იენის ღირებულების ტექნიკური დახმარება, და კულტურული გრანტების სახით შეტანილი წვლილი, ჯამური ღირებულებით 114 მილიონ იენამდე (MOFA 2022).

1997 წელს, იაპონია გახდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სიდიდით რიგით მეოთხე წევრი საქართველოში შეტანილი წვლილის მიხედვით, აშშ-ს, გერმანიისა და ნიდერლანდების შემდეგ (MOFA n.d.). ამ დროისთვის, იაპონია, ითვალისწინებდა რა ომის შემდგომი ეკონომიკური განვითარების პირად გამოცდილებას, პოზიციონირებდა, როგორც საქართველოს გზამკვლევი საბაზრო ეკონომიკისკენ გარდამავალ გზაზე, და მიზნად ისახავდა, საქართველო განევიტარებინა, როგორც “ტრანს-კავკასიური კორიდორი”.


აღსანიშნავია, რომ იაპონურ-ქართულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსაც (JICA). JICA-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობა 1995 წელს დაიწყო, რასაც 2017 წელს თბილისში წარმომადგენლობითი ოფისის გახსნა მოჰყვა (JICA 2021), რაც მიუთითებდა მნიშვნელოვან განვითარებაზე იაპონურ-ქართულ ურთიერთობებში, მეტადრე იმ ფონზე, რომ საქართველოს დედაქალაქში მდებარე ოფისი სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანას ფარავს. თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში, JICA-ს წვლილი აქვს შეტანილი ეკონომიკური ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების განვითარების, გარემოს დაცვის, ისევე როგორც ჯანდაცვისა და ენერჯეტიკის მიმართულებებით.

JICA-ს განხორციელებული აქვს სხვადასხვა საგრანტო და სასესხო პროექტები, მათ შორის ენერჯეტიკული რეაბილიტაციის პროექტი 1997 წელს, რა დროსაც შეკეთდა ჰიდროელექტრო სადგური ქვეყნისათვის ელ-ენერჯის მიწოდების გასაზრდელად. JICA აგრეთვე აქტიურად უჭერდა მხარს ადამიანური რესურსების განვითარებას საქართველოში, რა მიზნითაც ქართველი სპეციალისტები იაპონიაში მიჰყავდა, ხოლო იაპონელი ექსპერტები

საქართველოში ჩამოყვავდა (JICA n.d.). გარდა ამისა, JICA მხარს უჭერს საქართველოს პროექტით - “სუფთა ენერჯია მზის ელ-ენერჯის გენერირების სისტემით” (Ibid.).

1998 წელს, საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ, ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში, აგრეთვე განხორციელდა დემოკრატიული გრანტების სქემა, რაც მიზნად ისახავდა ადგილობრივი თემების მიერ ინიცირებული პროექტებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევას (Embassy of Japan in Georgia 2016). დემოკრატიული საგრანტო პროექტებისთვის გამოყოფილი დახმარება ორ კატეგორიად გაიყვანა: ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა (GGP) და კულტურული საგრანტო პროგრამა (GCGP). პირველი კატეგორიის საგრანტო დახმარებების მიზანია ხალხის გაძლიერება. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, ამ ტიპის ფინანსური დახმარების მიზანია, მხარი დაუჭიროს სპორტს, უმაღლეს განათლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციების კულტურულ პროექტებს. თუმცა, ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია, რომ პროექტს ჰქონდეს “ხიდის ელემენტი” და წახალისოს კულტურული მიმოცვლა იაპონიასთან. 2020 წლამდე, იაპონიას გულუხვად აქვს დაფინანსებული 200 პროექტი (იხ. გრაფა 3.2), რომელთა ჯამური ღირებულება 20 მილიონი აშშ დოლარია (Embassy of Japan in Georgia 2016).


გრაფა 3.2 იაპონიის საელჩოს გრანტები სექტორის მიხედვით (1998-2020)



წყარო: იაპონიის საელჩო საქართველოში (ხელმისაწვდომია ინგლისურად). ბოლო წვდომა: 4 მაისი, 2022 https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_en/development_assistance_eng20180727.html

საქართველოს საჭიროებების საპასუხოდ ტრანსპორტისა და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის მიმართულებით, 2009 წლის 16 დეკემბერს ხელი მოეწერა ოფიციალური განვითარების დახმარების სასესხო შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც 177.22 მილიონი იენი გაიცა აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტისათვის. 1997 წლის ენერგეტიკული რეაბილიტაციის პროექტის შემდეგ, ეს იყო მეორე პროექტი, რომელიც იაპონური ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში დაფინანსდა (JICA 2009). აღსანიშნავია, რომ იაპონური ოფიციალური განვითარების დახმარების ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2011-2014 წლებში (იხ. გრაფა 3.3), რამაც იაპონია, აშშ-ს შემდეგ, საქართველოში სიდიდით რიგით მეორე კონტრიბუტორად აქცია 2013 და 2014 წლებში (MOFA 2022).

გრაფა 3.3 იაპონური ოფიციალური განვითარების დახმარების გაცემა საქართველოში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ OECD-ს მონაცემების თანახმად (ხელმისაწვდომია ინგლისურად). ბოლო წვდომა: 4 მაისი, 2022
<https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=Table2A#>

2015 წელს, აღმოსავლეთ-დასავლეთ გზატკეცილის გაუმჯობესებისთვის, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელ საკვანძო სატრანსპორტო გზას

წარმოადგენს, 44.10 მილიონი იენის ღირებულების კიდევ ერთი კონტრიბუცია გამოიყო. აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი წარმოადგენს უმოკლეს საერთაშორისო მაგისტრალს, რომელიც ცენტრალურ აზიასა და ევროპას აკავშირებს. გარდა ამისა, იგი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) კრიტიკული ნაწილია, რომელიც ყაზახეთში იწყება, გაივლის ყირგიზეთს, უზბეკეთს, თურქმენეთს, შემდეგ კასპიის ზღვასა და აზერბაიჯანს, აღმოსავლეთიდან დასავლეთით კვეთს საქართველოს, შავ ზღვას და, საბოლოოდ, უკრაინის გავლით შედის ევროპაში. 2018 წელს, იაპონიამ დამატებით 38.735 მილიარდი იენის ოდენობით სესხი გასცა პროექტის მეორე ფაზის მხარდასაჭერად (JICA 2018).

ამ თავში წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, იაპონია საქართველოში აქტიურად იყენებდა განვითარების ოფიციალურ დახმარებას, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს. იაპონიის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაძლიერებაზე, მწვანე ენერჯის წახალისებაზე და ქართველ პროფესიონალთა ექსპერტული ცოდნის ამაღლებაზე, ცხადყოფს, რომ იაპონია ნათლად აღიქვამს საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაკავშირებელი წერტილის პოტენციალს, რომელიც მნიშვნელოვანი აქტივია აზია-ევროპის ფართო პარტნიორობის კონტექსტში.



Photo Credit: [იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო](#)

იაპონურ-ქართული ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები

იაპონურ-ქართული ურთიერთობების პოლიტიკური მხარე, უმეტესწილად, შემოიფარგლება იაპონიის მიერ საქართველოს სუვერენულობის და ტერიტორიული მთლიანობის ერთგულებით და საქართველოს მიერ იაპონიის ამბიციის მხარდაჭერით, რომ იგი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი გახდეს (Bibilashvili 2021). მაგრამ, ისევე როგორც ეკონომიკურ სექტორში, პოლიტიკური მიმართულებითაც არის სივრცე პარტნიორობის შემდგომი გაღრმავებისთვის, მათ შორის, მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტების და ლიბერალური ღირებულებების ერთგულების საერთო გამოცდილების ირგვლივ.

იაპონია თანმიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენულობას და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. 2008 წლის რუსულ-ქართული ომის შემდეგ, იაპონიამ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გავლით, იძულებით გადაადგილებულ პირებს ერთი მილიონი აშშ დოლარი გამოუყო საგანგებო ჰუმანიტარული გრანტის სახით (MOFA 2008). ომის შემდგომი აღდგენისა და განვითარების ღონისძიებებისთვის კი, დამატებით 200 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო (JICA n.d.), რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვან ფინანსური დახმარებას წარმოადგენდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენულობის დარღვევების დაგმობის გარდა, კანადასთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან, აშშ-სთან და გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად, 2008 წლის 7 აგვისტოს (MOFA 2008), იაპონიამ ხელი მოაწერა დოკუმენტს “სოლიდარობა მშვიდობისა და დემოკრატიისთვის” 2014 წლის 24 ოქტომბერს (MOFA 2014). დოკუმენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ დეკლარაციას, რომელიც აღნიშნავს, რომ საქართველო და იაპონია იზიარებენ დემოკრატიის, თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ფუნდამენტურ ღირებულებებს. გარდა ამისა, იგი აქცენტს სვამს იმაზე, რომ, ასოცირების შეთანხმების გზით, ქვეყნის ევროპულ ბაზარზე ინტეგრაცია, ხელსაყრელ ბიზნეს გარემოსთან ერთად, საქართველოს აქცევს იაპონური ინვესტიციებისთვის მიმზიდველ ადგილად. და ბოლოს, იგი ხაზს უსვამს იაპონიის პოზიციას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მოგვარდეს მშვიდობიანად, საქართველოს სუვერენულობასა და ტერიტორიულ მთლიანობასთან თანხვედრაში, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, და აღიარებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლებას, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციების შესაბამისად.

მოგვიანებით, როდესაც 2014 წელს აფხაზეთსა და რუსეთს შორის “ალიანსისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ” შეთანხმება დაიდო, ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონთან კი 2015 წლის “შეთანხმება ალიანსსა და ინტეგრაციაზე”, იაპონიის საელჩომ დაგმო საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების შეცვლის ყოველგვარი

მცდელობა და ხელახლა დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა (Embassy of Japan in Georgia 2014; 2015). იაპონიის საელჩოს მსგავსი პოზიცია ჰქონდა ბაქო-სუფსის მილსადენის მიმდებარედ “სახელმწიფო საზღვრის” ნიშნის დაყენებაზეც (Embassy of Japan in Georgia 2015). შესაბამისად, ეს პოლიტიკის დოკუმენტი მიიჩნევა, რომ რუსეთთან მიმდინარე ტერიტორიული დავების საერთო გამოცდილება უფრო ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული ორმხრივ ურთიერთობებში.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 2014 წელს იაპონიამ ცვლილებები შეიტანა სახელდებაში, რა დროსაც საქართველოს “გრუზიას” ნაცვლად “ჯორჯია” ეწოდა (The Japan Times 2014). ქართულმა მხარემ ეს ცვლილება რუსეთთან 2008 წლის ტერიტორიული კონფლიქტის შემდეგ მოითხოვა. თუმცა, საკითხის პოლიტიკურად მგრძობიარე ხასიათიდან და ბიუროკრატიული სიძნელებიდან გამომდინარე, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას ექვსი წელი დასჭირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იაპონია საქართველოს უდგება ფართო პოსტ-საბჭოთა ძალაუფლების თამაშის ჭრილში და რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებს სიფრთხილით განიხილავს. ისეთი პლატფორმები, როგორცაა NATO, ეუთო და გაერო ასევე არიან ჩართულნი იაპონურ-ქართულ ურთიერთობებში. იაპონიას წვლილი აქვს შეტანილი რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობაში, NATO-ს “პარტნიორობა მშვიდობისთვის” პროგრამის ფარგლებში (NATO 2022). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იაპონიაც და საქართველოც ემხრობა გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმას - საქართველო 1990-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად უჭერს მხარს იაპონიას, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის კანდიდატს. რაც შეეხება ეუთო-ს, იაპონია ამ პლატფორმას საქართველოში საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობისათვის იყენებს (MOFA 2003; 2012; 2013).

ქართულ-იაპონური ურთიერთობების განვითარება ასახავს დონორსა და მიმღებს შორის არსებული ურთიერთობის გარდაქმნის დინამიკას უფრო თანასწორ პარტნიორობად, რომლებსაც გააჩნიათ საერთო ღირებულებები, როგორცაა დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. მიუხედავად ამისა, რუსულ-ქართული უთანხმოება და ქვეყნის სოციო-პოლიტიკური არასტაბილურობა, როგორც ჩანს, ზღუდავს პოლიტიკური პარტნიორობის განვითარებას იაპონიასა და საქართველოს შორის.

თანამშრომლობის მრავალმხრივი არხები

ტარო ასოს “თავისუფლებისა და კეთილდღეობის რკალის” შემოღებამ იაპონურ დიპლომატიას დამატებითი სტიმული შეუქმნა ისეთ ქვეყნებთან მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებისათვის, როგორცაა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები. სომხეთსა და

აზერბაიჯანს შორის არსებული მტრული დინამიკის გათვალისწინებით, იაპონიამ ვერ შეძლო, ერთი რეგიონული ქოლგის ქვეშ მოეყარა თავი სამხრეთ კავკასიის ყველა სახელმწიფოსათვის (Goginashvili 2016). თუმცა, ტოკიომ შექმნა სამუშაო ფორმატები ორი საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში, კერძოდ - BSEC (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა) და სუამი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა).

ეს დოკუმენტი მიიჩნევს, რომ, ერთი მხრივ, წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ, ამ პლატფორმით სცადეს წარმოეჩინათ ევროპისა და აზიის კონტინენტების შეკავშირების საქმეში თავისი პოტენციალი, ხოლო, მეორე მხრივ, იაპონიამ უმეტესწილად ინსტრუმენტულად გამოიყენა ეს ჩარჩოები სხვადასხვა დარგში ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად. თუმცა, პარტნიორობის სამართლებრივი ჩარჩო ძლიერ საფუძველს ყრის ამ ურთიერთობების უფრო ეფექტურ თანამშრომლობად გადასაქცევად, რასაც ორმხრივი აქტიური ძალისხმევა და ინიციატივები სჭირდება.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC)

2007 წელს, მას მერე რაც იაპონურ საგარეო პოლიტიკაში დაინერგა “თავისუფლებისა და კეთილდღეობის რკალი”, იაპონია გახდა “შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის”⁴ სექტორული დიალოგის პარტნიორი (GFJ 2010). თუმცა, ურთიერთობები იაპონიასა და “შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას” შორის მეტწილად შემოიფარგლება იაპონიის მიერ სხვადასხვა მიმართულებებით თავისი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით, მათ შორის უბედური შემთხვევების პრევენციის და გადაუდებელი დახმარების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პარტნიორობის გაძლიერების ინიციატივა წამოვიდა შავი ზღვის სივრცის წარმომადგენლებისგან და, შედეგად, 2005-2016 წლებში, ტოკიოში შედგა ოთხი იაპონია-ფართო შავი ზღვისპირეთის დიალოგი.

პირველი დიალოგი, “მშვიდობა და კეთილდღეობა შავი ზღვის ფართო სივრცეში და იაპონიის როლი”, რომელიც 2005 წლის 27-28 ნოემბერს გაიმართა, მიზნად ისახავდა იაპონიისთვის შავი ზღვის სივრცის გაცნობას. ჰაკამადა შიკეგის⁵ სიტყვებით, იაპონიას არც რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ესმოდა და არც “რაიმე თანმიმდევრული ხედვა, ან მიდგომა გააჩნდა შავი ზღვის რეგიონის, როგორც გაერთიანებული ერთეულის, მიმართ” (GFJ 2005, 68-69). შესაბამისად, ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი საწყისი წერტილი იყო იაპონია-შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში, რამაც გზა გაუხსნა უფრო აქტიურ თანამშრომლობას.

⁴ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია მრავალმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივაა, რომელიც 1992 წლის 25 ივნისის სტამბოლის სამიტისა და ბოსფორის განცხადების ნაყოფია და აერთიანებს 13 სახელმწიფოს, რომელთა მიზანიცაა განავითარონ შავი ზღვის რეგიონი (BSEC n.d.).

⁵ საერთაშორისო პოლიტიკის პროფესორი.

მეორე დიალოგი, “იაპონია და შავი ზღვის სივრცე სწრაფად ცვალებად მსოფლიოში”, რომელიც 2007 წლის 20-21 ნოემბერს გაიმართა, ხაზს უსვამდა ევროპა-რუსეთის კონკურენციას შავი ზღვის რეგიონში და აქცენტს აკეთებდა იაპონიის მიერ რეგიონში დემოკრატიზაციისა და რეფორმების პროცესის მხარდაჭერის პოტენციალზე (GFJ 2007). ამ თვალსაზრისით, ტარო ასოს “თავისუფლებისა და კეთილდღეობის რკალი” წარმოადგენდა იაპონია-შავი ზღვის სივრცის ურთიერთობების განვითარების ეფექტურ ჩარჩოს. ამ მომენტიდან, იაპონიამ გაიაზრა, რომ შავი ზღვის სივრცეში პროაქტიული როლის თამაში, აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონს მიღმა, იაპონიის ლიდერობის პოტენციალის დამტკიცების შესაძლებლობაა და ამით აგრეთვე წარმოაჩინა თავისი მზაობა, გამხდარიყო გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრი.

მესამე დიალოგმა, “შავი ზღვის სივრცის შეცვლის პერსპექტივები და იაპონიის როლი”, რომელიც 2010 წლის 26-27 იანვარს გაიმართა, გააქტიურა დისკუსია მიმდინარე სამხედრო კონფრონტაციებისა და სოციო-პოლიტიკური სიმწელების გამო შექმნილ ეკონომიკურ და უსაფრთხოების გამოწვევებზე რეგიონში (GFJ 2010). ამ პრიზმაში, იაპონიის ამოცანად იქცა რეგიონში მანევრირება ღირებულებებზე ორიენტირებული დიპლომატიის პრინციპებით.

და ბოლოს, მეოთხე დიალოგი შედგა 2013 წლის 20-21 თებერვალს, თემაზე: “როგორ განვავითაროთ იაპონია-შავი ზღვის სივრცის თანამშრომლობა”. შეხვედრა შედგებოდა სამი მთავარი თემატური პანელისგან: “შავი ზღვის სივრცე ცვალებად მსოფლიოში”, “შავი ზღვის სივრცის განვითარების სტრატეგია” და “იაპონიის როლი შავი ზღვის სივრცის მომავალში” (GFJ 2013). ამ მომენტისათვის, იაპონიამ, რომელიც აქამდე უმეტესად “შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის” (BSEC) წევრებთან ორმხრივი ურთიერთობების წარმოებით იყო დაკავებული, დაიწყო პლატფორმის აქტივაცია განსაკუთრებული აქცენტით უბედური შემთხვევების პრევენციაზე. თუმცა, იაპონია-შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმატი ვერ გაცდა ექსპერტიზის გაზიარებას და ვერ შეძლო, ჩამოყალიბებულიყო მრავალმხრივი თანამშრომლობის ეფექტურ პლატფორმად.

სუამი

სუამი აერთიანებს საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას მთავრობებს (გარკვეულ პერიოდამდე უზბეკეთსაც)⁶. მისი მიზანია დემოკრატიული ღირებულებების წახალისება, ეკონომიკური სტაბილურობის ამაღლება, საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავისი წევრების დახმარება ევროპული ინტეგრაციის გზაზე (GUAM n.d.). სუამთან კავშირი იაპონიამ თავის ღირებულებებზე დაფუძნებულ

⁶ უზბეკეთი 1991 წელს შეუერთდა სუამ-ს და სულ რაღაც სამი წლის თავზე დატოვა წევრობა, 2002 წელს, იმ არგუმენტით, რომ ჯგუფს არ შეეძლო წევრთა შორის ინტეგრაციის გაძლიერება (RFERL 2002).

დიპლომატიასთან თანხვედრაში დაამყარა და 2007 წლის შემდგომ პერიოდში შედგა სუამ-იაპონიის მინისტრიალის ექვსი შეხვედრა, ოთხი სუამისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეხვედრა და რამდენიმე საერთო სამუშაო სესია და დიალოგი (GUAM 2018).

სუამ-იაპონიის თანამშრომლობა ემსახურება იაპონიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანას - “თანამშრომლობა, რომლის მიზანია თვითკმარი განვითარება თვით-დახმარების ძალისხმევების მხარდაჭერით, ისევე როგორც იაპონიის გამოცდილებასა და ექსპერტიზაზე დამყარებული დიალოგი და თანამშრომლობა” (MOFA 2015). ამ თვალსაზრისით, იაპონიისთვის სუამი წარმოადგენს კიდევ ერთ მრავალმხრივ პლატფორმასა და რეგიონულ მექანიზმს თავისი ლიდერობის ამბიციების გასამყარებლად, სუამის წევრ სახელმწიფოთა დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების აქტიური მხარდაჭერის გზით.

2007 წლის შემდეგ, ტოკიოს ჰყავს სპეციალური წარმომადგენელი სუამის მიმართულებით იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რაც მიუთითებს ამ პლატფორმის მნიშვნელობაზე იაპონიის დიპლომატიურ დღის წესრიგში. გარდა ამისა, 2015 წელს შეიქმნა სუამ-იაპონიის თანამშრომლობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობის არეალი გაფართოვდა და მოიცვა ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა ტურიზმი, ენერჯეტიკა, სუამ-ის ტრანსპორტის სატრანზიტო კორიდორი, სუამის თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, საინვესტიციო პროექტები, გადაუდებელი სიტუაციები და რადიოლოგიური უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა, უბედური შემთხვევების მართვა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, სამედიცინო სფერო და კულტურა (GUAM 2015). რაც შეეხება თანამშრომლობის ინსტრუმენტებს, იგი მოიცავს მინისტრიალურ სამიტებს, ეროვნულ საკოორდინაციო შეხვედრებს და ერთობლივ სამუშაო სესიებსა და სემინარებს.

შეიძლება ითქვას, რომ სუამ-იაპონიის თანამშრომლობის ფორმატმა, ასახა რა ორმხრივი ურთიერთობების ზოგადი დინამიკა, ქართულ-იაპონურ პარტნიორობაში წარმატებულად შემოიტანა მრავალმხრივი შრე. თუმცა, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური პარტნიორობის შემთხვევაში, თანამშრომლობა შემოიფარგლება ტექნიკური დახმარებითა და გამოცდილების გაზიარებით, იაპონია კი უპირატესობას კვლავაც სუამის წევრ სახელმწიფოებთან ორმხრივი დიპლომატიის წარმოებას ანიჭებს. არსებული მრავალმხრივი არხების უფრო პროაქტიულად გამოყენებისათვის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება შესაძლოა იყოს სუამისა და შავი ზღვის ეკონომიკური პარტნიორობის წევრთა შორის არსებული შეკავშირებულობის ხარისხი და მათი საჭიროებებისა თუ პოლიტიკური მისწრაფებების მრავალგვარობა.

დასკვნა და რეკომენდაციები

იაპონიასა და საქართველოს შორის არსებული ოცდაათწლიანი ურთიერთობები მოიცავს მნიშვნელოვან მიღწევებს განვითარებისთვის გაღებული მხარდაჭერის თვალსაზრისით. შეზღუდული თანამშრომლობის პერიოდს (1992-1996) მოჰყვა შედარებით უფრო აქტიური ფაზა (1997-2005), რომელიც შთაგონებული იყო ჰაშიმოტოს “ევრაზიული დიპლომატიით” და მხარს უჭერდა საქართველოს თვით-დახმარების ძალისხმევებს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისკენ მიმავალ გზაზე. ასოს “თავისუფლებისა და კეთილდღეობის რკალის” შემოღების შემდეგ, 2006 წელს, ქართულ-იაპონურ ურთიერთობებში აგრეთვე შემოვიდა და ინსტრუმენტალიზებულ იქნა მრავალმხრივი დონე, რასაც თან ახლდა პოლიტიკური მხარდაჭერა და განგრძობადი ეკონომიკური დახმარება. და ბოლოს, კონოს “კავკასიის ინიციატივის” გამოცხადებამ 2018 წელს აჩვენა, რომ ამ ურთიერთობებს გააჩნია სერიოზული პოტენციალი ტრანსფორმირდეს მხოლოდ დონორისა და მიმღების ურთიერთობებიდან თანასწორ პარტნიორობამდე, რაც დაეფუძნება საერთო ღირებულებებს, როგორცაა თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და საბაზრო ეკონომიკა. აღსანიშნავია, რომ ეს განვითარება მოჰყვა იაპონიის მიერ 2016 წელს “თავისუფალი და ღია ინდო-წყნარი ოკეანეთის ინიციატივის” შემოღებას, რაც განასახიერებდა იაპონიის საგარეო პოლიტიკის მსოფლხედვის დივერსიფიკაციას და მეტ მზახობას, რომ მას გლობალურ პოლიტიკაში უფრო პროაქტიული როლი შეესრულებინა.

მიუხედავად ამისა, იაპონურ-ქართულ ურთიერთობებში საკვანძო გამოწვევად რჩება ორმხრივი ცნობადობის არარსებობა, რაც შესაძლებელია აიხსნას ორ ქვეყანას შორის არსებული გეოგრაფიული სიმორით. გარდა ამისა, თავისი მაღალი სტანდარტებითა და ფრთხილი საგარეო პოლიტიკით, იაპონია საქართველოს თავშეკავებით ეპყრობა, რადგანაც მას სჭირდება, დარწმუნდეს საქართველოს, როგორც პარტნიორის, სანდოობაში. ამავე დროს, არსებობს სივრცე ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავებისთვის ვაჭრობისა და ინვესტიციების, ენერგეტიკული სექტორის, ტექნოლოგიების და ექსპერტიზის გაცვლის, ისევე როგორც პოლიტიკური დიალოგის მიმართულებებით. იაპონიის ხმამაღალი პოზიციის გათვალისწინებით რუსეთის მიმდინარე შეჭრაზე უკრაინაში (Akita 2022), ის გარემოება, რომ იაპონიასაც და საქართველოსაც აგრეთვე გააჩნიათ ტერიტორიული დავები რუსეთთან, უკეთ უნდა აისახოს ორმხრივ თანამშრომლობაში.

კიდევ ერთი საკვანძო მიმართულება შემდგომი პარტნიორობისთვის იქნებოდა საქართველოს ჩართულობა იაპონია-ევროკავშირის “პარტნიორობაში მდგრადი კავშირისთვის”. TRACECA-ს ინიციატივას, საქართველოს მტკიცე პრო-დასავლურ საგარეო პოლიტიკასთან ერთად, რომელიც გამყარებული იქნება პროგრესული ნაბიჯებით, შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ამ ძალისხმევაში. თუმცა, საქართველოს წინაშე დგას საკუთარი იმიჯის გარდაქმნის გამოწვევა, პოსტ-საბჭოთა სამხრეთ კავკასიური

სახელმწიფოდან, რომელიც ხასიათდება კონფლიქტებითა და არასტაბილურობით, თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფომდე, რომელიც მოწადინებულია, რომ იაპონური სტანდარტები დააკმაყოფილოს. ეს კი ქართული მხარისაგან მოითხოვს თავდადებას, რომელიც უნდა გამყარდეს ხელშესახები შედეგებით.

შედეგად, მაშინაც კი, როდესაც ორმხრივ ურთიერთობებში არსებული მიმდინარე პროგრესი უდავოა, იაპონიისა და საქართველოს პარტნიორობაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი რჩება მრავალი ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობა. ამ გზაზე მთავარი გამოწვევა საქართველოსთვის დამახასიათებელი არასტაბილური სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებსა და რუსეთის ფაქტორთან ერთად, რაც იაპონიის მანევრირების შესაძლებლობებს ზღუდავს. ამჟამინდელი წინაღობების გათვალისწინებით, საქართველოს ამოცანაა, იაპონიასთან თანამშრომლობის ახალი გზების ძიების პარალელურად, დაამტკიცოს თავისი სანდოობა და დარჩეს ლიბერალური ღირებულებების ერთგული.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობისთვის

- შექმნას სანდოობა საქართველოს, როგორც იაპონიის პოტენციური პარტნიორის მიმართ, მტკიცე პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკის შენარჩუნებით, ისეთი პრინციპების ერთგულებით, როგორცაა დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და საბაზრო ეკონომიკა და ქვეყანაში სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის გზით
- გააქტიუროს მაღალი დონის ვიზიტები ტოკიოში და აწარმოოს მოლაპარაკებები უფრო ხელსაყრელი სამართლებრივი ჩარჩოს შესაქმნელად, მათ შორის უვიზო მიმოსვლის და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების კუთხით, იაპონიასთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების ამაღლების მიზნით
- მხარი დაუჭიროს სექტორულ დიალოგს და ინსტრუმენტულად გამოიყენოს ორმხრივი ტერიტორიული კონფლიქტები ყოველწლიური შეხვედრების მოწყობით პარტნიორობის გაღრმავების მიზნით
- ხაზი გაუსვას საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და წარმოაჩინოს ქვეყანა, როგორც სასიცოცხლო ელემენტი იაპონია-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში, ისევე როგორც უფრო ფართო შეკავშირების პარტნიორობაში. ამ თვალსაზრისით, საქართველომ უფრო პროაქტიულად უნდა გამოიყენოს თანამშრომლობის მრავალმხრივი არხები

- მაქსიმალური ძალისხმევა გაიღოს, მათ შორის სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენებით, იაპონელ მოქალაქეთათვის საქართველოს გასაცნობად, იაპონელი ტურისტების, ისევე როგორც ციფრული ნომადების მოსაზიდად და იაპონიის ბაზარზე აამაღლოს მოთხოვნა ქართულ პროდუქტებზე. ამ მიზნით, რეკომენდებულია, ერის ბრენდირების მიდგომის გამოყენება, რაც მიმართული იქნება ადამიანთა კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე. ტოკიოდან თბილისამდე პირდაპირი ფრენების არსებობის შესაძლებლობა ამ ძალისხმევის მხარდამჭერ ფაქტორად შესაძლოა იქცეს.

იაპონიის მთავრობისთვის

- გააქტიუროს მაღალი დონის ვიზიტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, და შექმნას თითოეული ქვეყნისათვის სპეციფიკური საგარეო პოლიტიკური მიდგომები
- გამოიყენოს საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, მდგრადი კავშირის შესახებ იაპონია-ევროკავშირის პარტნიორობის ჩარჩოში
- ხელი შეუწყოს იაპონიის ბიზნეს წრეებში საქართველოს წარმოჩენას თავისი ხელსაყრელი ბიზნეს გარემოთი
- განსაზღვროს ცხადი მიზნები და სტანდარტები საქართველოსათვის, რათა მან შეძლოს იაპონიის პოლიტიკურ და ბიზნეს წრეებში სარწმუნოების მოპოვება
- განაგრძოს ძალისხმევა საქართველოს სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICTs) მიმართულებით, რათა გააუმჯობესოს საქართველოს, როგორც ადმოსავლეთ-დასავლეთის შემაკავშირებელი კვანძის, შესაძლებლობები.

ქართული და იაპონური უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრებისთვის:

- დაამყარონ პარტნიორობა და ითანამშრომლონ კოლეგებთან ინტელექტუალური მიმოცვლის ხელშეწყობისა და ექსპერტიზის გაცვლის მიზნით
- ხელი შეუწყონ ქართული და იაპონური უნივერსიტეტების სტუდენტების, ისევე, როგორც მეცნიერებისა და ლექტორების, გაცვლით პროგრამებს, თარგმნონ მნიშვნელოვანი აკადემიური ნაშრომები და მოაწიონ ყოველწლიური იაპონურ-ქართული აკადემიური შეკრებები
- გამოიყენონ არსებული გრანტები საერთო კვლევითი პროექტების საწარმოებლად და მხარი დაუჭირონ იაპონიაში საქართველოს ცნობადობის, და პირიქით, ამაღლებას. ქართული კვლევების ფაკულტეტის ჩამოყალიბება იაპონიის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი საწყისი წერტილი იყოს ამ გზაზე.

- ADB. 2022. "Asian Development Bank and Georgia: Fact sheet." Accessed May 4, 2022. <https://www.adb.org/publications/georgia-fact-sheet>
- Bibilashvili, Mariam. March 3, 2021. "Japan's South Caucasian Diplomacy: The Development of Japanese Foreign Policy towards Georgia." *Asia Europe Journal* 19, no. 3: 309–328. Accessed May 4, 2022. <https://doi.org/10.1007/s10308-021-00599-2>.
- BSEC. 2010. "Charter of the Organization of the Black Sea Economic Cooperation." Accessed May 4, 2022. <http://www.bsec-organization.org/UploadedDocuments/StatutoryDocumentsAgreements/CHARTERFourthEdition7July.pdf>
- BSEC. n.d. "Member States." Accessed May 4, 2022. <http://www.bsec-organization.org/member-states>
- EEAS. September 27, 2019. "The Partnership on Sustainable Connectivity and Quality Infrastructure between the European Union and Japan." Accessed June 4, 2022. https://www.eeas.europa.eu/eeas/partnership-sustainable-connectivity-and-quality-infrastructure-between-european-union-and_en
- Embassy of Japan in Georgia. April 16, 2022. "2022 – 30th Anniversary of the Diplomatic Relations between Japan and Georgia." Accessed May 4, 2022. https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_en/11_000001_00257.html
- Embassy of Japan in Georgia. December 1, 2014. "Statement of the Embassy of Japan in Georgia on the Signing of So-called 'Treaty' between Georgia's Occupied Region Abkhazia and the Russian Federation." Accessed May 4, 2022. https://www.ge.emb-japan.go.jp/files/abkhazia%20statement/statement_abkhazia.pdf
- Embassy of Japan in Georgia. December 16, 2021. "About GGP." Accessed May 4, 2022. https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_en/development_assistance_eng20180727.html
- Embassy of Japan in Georgia. July 15, 2015. "Statement of the Embassy of Japan in Georgia on the Installation of the 'State Border' Signs Close to Baku-Supsa Pipeline." Accessed May 4, 2022. https://www.ge.emb-japan.go.jp/files/abkhazia%20statement/border_eng.pdf
- Embassy of Japan in Georgia. March 15, 2022. "Japan's Development Assistance to Georgia." Accessed May 4, 2022. https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_en/Development_assistance_e_20180205.html
- Embassy of Japan in Georgia. March 20, 2015. "Statement of the Embassy of Japan in Georgia on the Signing of So-called 'Treaty' between Georgia's Occupied Tskhinvali Region /South Ossetia and the Russian Federation." Accessed May 4, 2022. https://www.ge.emb-japan.go.jp/files/statement_tskhinvali_region_eng.pdf
- Emerson, Michael. (2006). "What Should the Community of Democratic Choice Do?." *CEPS Policy Briefs* 1-12: 1-3. Accessed May 4, 2022. <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=31624>

- GFJ. February 21, 2013. "Report of the 4th Japan-Black Sea Area Dialogue on 'How to Develop Japan and Black Sea Area Cooperation'". Accessed May 4, 2022. <http://www.gfj.jp/e/dialogue/20130220.pdf>
- GFJ. January 27, 2010. "Report of the Third Japan-Black Sea Area Dialogue on 'Prospects of Changing Black Sea Area and Role of Japan'". Accessed May 4, 2022. <http://www.gfj.jp/j/dialogue/20100126.pdf>
- GFJ. November 20, 2007. "Report of the Japan-Black Sea Area Dialogue on 'Japan and the Black Sea Area in the Rapidly Changing World'." Accessed May 4, 2022. <http://www.gfj.jp/e/dialogue/20071120.pdf%202007>
- GFJ. November 28, 2005. "Report of the Japan-Wider Black Sea Area Dialogue on 'Peace and Prosperity in Wider Black Sea Area and the Role of Japan'". Accessed May 4, 2022. <http://www.gfj.jp/e/dialogue/20051127.pdf>
- GUAM. December 3, 2015. "GUAM-Japan Cooperation Program." Accessed May 4, 2022. <https://guam-organization.org/en/guam-japan-cooperation-program/>
- GUAM. June 18, 2007. "Joint Press Statement of the First GUAM-Japan Meeting." Accessed May 4, 2022. <https://guam-organization.org/en/joint-press-statement-of-the-first-guam-japan-meeting-baku-18-june-2007/>
- GUAM. n.d. "GUAM and Japan." Accessed May 4, 2022. <https://guam-organization.org/en/organization-for-democracy-and-economic-development-guam-and-japan/>
- JICA. 2021. "Message from the Resident Representative." Accessed May 4, 2022. <https://www.jica.go.jp/georgia/english/office/about/message.html> 2021
- JICA. n.d. "Georgia." Accessed May 4, 2022. <https://www.jica.go.jp/georgia/english/index.html>
- Kuromiya, Hiroaki, and Georges Mamoulia. September 21, 2009. "Anti-Russian and Anti-Soviet Subversion: The Caucasian-Japanese Nexus, 1904-1945." *Europe-Asia Studies* 61, no. 8: 1415-1440. Accessed May 4, 2022. <https://doi.org/10.1080/09668130903134822>
- METI. n.d. "Japan's Roadmap to "Beyond-Zero" Carbon." Accessed June 4, 2022. https://www.meti.go.jp/english/policy/energy_environment/global_warming/roadmap/
- MoEaSDoG. January 29, 2021. "Georgia-Japan Investment Agreement Signed." Accessed May 4, 2022. <http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1621&lang=en> 2021
- MOFA. 2015. "Japan's Development Cooperation Policy - Development Cooperation Charter." Accessed May 4, 2022. <https://www.mofa.go.jp/files/000286313.pdf>
- MOFA. April 13, 2022. "Japan-Georgia Relations (Basic Data)." Accessed May 4, 2022. <https://www.mofa.go.jp/region/europe/georgia/data.html>
- MOFA. April 22, 2022. "Japan-Georgia Foreign Ministers' Meeting." Accessed May 4, 2022. https://www.mofa.go.jp/erp/ca_c/ge/page4e_001224.html

- MOFA. August 22, 2008. “Emergency Humanitarian Grant Aid for Internally Displaced Persons in Georgia Caused by Armed Clashes in the Country.” Accessed May 4, 2022. https://www.mofa.go.jp/announce/announce/2008/8/1182855_1040.html
- MOFA. August 28, 2008. “Joint Statement on Georgia by the Foreign Ministers of Canada, France, Germany, Italy, Japan, the United States and the United Kingdom.” Accessed May 4, 2022. http://www.mofa.go.jp/announce/announce/2008/8/1182961_1040.html
- MOFA. December 25, 2003. “Dispatch of Japanese Election Observers for the Presidential Election in Georgia.” Accessed May 4, 2022. <https://www.mofa.go.jp/region/europe/georgia/election0312.html>
- MOFA. February 10, 2015. “Cabinet Decision on the Development Cooperation Charter.” Accessed May 4, 2022. <https://www.mofa.go.jp/files/000067701.pdf>
- MOFA. March 1, 2011. “Basic Understanding of the Northern Territories Issue.” Accessed May 4, 2022. <https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html>
- MOFA. March 12, 2007. “On the ‘Arc of Freedom and Prosperity’ An Address by H.E. Mr. Taro Aso, Minister for Foreign Affairs on the Occasion of the 20th Anniversary of the Founding of the Japan Forum on International Relations.” Accessed May 4, 2022. <http://www.mofa.go.jp/policy/pillar/address0703.html>
- MOFA. March 4, 1999. “Joint Statement on Friendship and Partnership between Japan and Georgia.” Accessed May 4, 2022. <https://www.mofa.go.jp/region/europe/georgia/pv9903-3.html>
- MOFA. October 24, 2014. “Joint Statement between Japan and Georgia on ‘Solidarity for Peace and Democracy.’” Accessed May 4, 2022. <https://www.mofa.go.jp/files/000057300.pdf>
- MOFA. September 26, 2012. “Dispatch of an Observation Mission from Japan to the Parliamentary Election in Georgia.” Accessed May 4, 2022. https://www.mofa.go.jp/announce/announce/2012/9/0926_02.html
- NATO. April 19, 2022. “Relations with Japan.” Accessed May 4, 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50336.htm
- OECD.Stat. n.d. “Aid (ODA) Disbursements to Countries and Regions [DAC2a].” Accessed May 4, 2022. <https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=Table2A#>
- Prime Minister and His Cabinet. July 24, 1997. “Address by Prime Minister Ryutaro Hashimoto to the Japan Association of Corporate Executives.” Accessed May 4, 2022. <https://japan.kantei.go.jp/0731douyukai.html> 1997
- RFERL. June 18, 2002. “Uzbekistan: Tashkent Withdraws From GUUAM, Remaining Members Forge Ahead.” Accessed June 4, 2022. <https://www.rferl.org/a/1100023.html>
- The Japan Times. October 22, 2014. “Japan to Use English Name for Georgia, not Russian.” Accessed May 4, 2022. <https://www.japantimes.co.jp/news/2014/10/22/national/japan-use-english-name-georgia-russian/#:~:text=The%20government%20has%20decided%20to,Russian%20language%2C%20an%20official%20said.>

Vernygora, Vlad, and Natalia Chaban. 2008. "New Europe and Its Neo-Regionalism: A Working Case of the 'Community of Democratic Choice'." *TRAMES: A Journal of the Humanities & Social Sciences* 12, no. 2. <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=103955>



Photo Credit: https://www.ge.emb-japan.go.jp/itpr_en/11_000001_00257.html



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

www.gip.ge